საჯარო სამართლის იურიდიული პირი

მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

KA020120879887922

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: 0 **32 2 95 00 30**

 # 22/4240 **21 / ივნისი / 2022 წ.**

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისადმი დაქვემდებარებული ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ დუშეთის მუნიციპალიტეტში, ჟინვალის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, დაბა ჟინვალის (ჟინვალის სათავე ნაგებობა) მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების (ჟინვალის სათავე ნაგებობიდან - 2 500 000 $მ^3$/წელიწადში), 25 წლის ვადით, კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის) ერთ სალიცენზიო ტერიტორიის ფარგლებში არსებულ სკრინინგის განცხადებას (ID_50286_54128, 29.04.2022 წ.).

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი (ჟინვალის სათავე ნაგებობა) მდებარეობს ზღვის დონიდან 709 მეტრის სიმაღლეზე, დუშეთის მუნიციპალიტეტში, ჟინვალის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, დაბა ჟინვალის მიმდებარე ტერიტორიაზე.

სალიცენზიო ობიექტი (ჟინვალის სათავე ნაგებობა) არ მდებარეობს სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.

წიაღით სარგებლობა მოცემული კოორდინატების საზღვრებში დასაშვებია, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

ობიექტი არ მდებარეობს სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები, ასევე არ ფიქსირდება დაცულ ტერიტორიებთან, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და სხვა ობიექტებთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 4 გვ. shape ფაილი.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე